




ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის შემუშავება (პროექტი)

საკონსურსო წინადადება



ა(ა)ივ ქ. თბილისის განვითარების ფონდი
ქ. თბილისი კმ. ზუბალაშვილების ქ. 48

საქონსურსო წინადადება

13.03.2015

ვის: ა(ა)იპ ქ. თბილისის განვითარების ფონდი

ვისგან: შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების
საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“
ბულაჩაურის ქ. 10, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ.: (+995 32) 2382542
ფაქსი: (+995 32) 2381948
ელ.ფოსტა: office@geographic.ge
www.geographic.ge

ა(ა)იპ ქ. თბილისის განვითარების ფონდის მიერ ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის შემუშავების შესახებ გამოცხადებული კონკურსის პირობების თანახმად შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“ გთავაზობთ წინამდებარე საკონკურსო წინადადებას, რომელიც მოიცავს:

- კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- სადემონსტრაციო მასალას: კონცეპტუალური ხედვა თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების შესახებ, პროექტის განხორციელების გრაფიკი და პროექტის ბიუჯეტი;
- შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრ „გეოგრაფიკსა“ და პოტენციურ ქვეკონტრაქტორს შორის გაფორმებული განზრახვათა შესახებ ოქმს;
- ინფორმაციას შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკის“ შესახებ: კომპანიის რეზიუმე;
- ინფორმაციას პოტენციური ქვეკონტრაქტორის შესახებ: კომპანიის რეზიუმე;
- ინფორმაციას შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკისა“ და პოტენციური ქვეკონტრაქტორის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ;
- ინფორმაციას სამუშაო ჯგუფის წევრების შესახებ;
- შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკის“ რეკვიზიტებს.

გიორგი გოცირიძე,
დირექტორი
შპს „გეოგრაფიკი“
13.03.2015



საგადახდო დავალება

4077

Payment Order

449A5AFF

სს თიბისი ბანკი

თარიღი
Date

12-Mar-15

GEL

გადამხდელის დასახელება

Sender

თანხა ციფრებით
Amount in figures

შპს 'გეოგრაფიკი' დისტანც. ზონდირებისა და გეოინფორმ. სისტ.საკონს.ცენტრი, 204920309

50.00 GEL

ანგარიში (დებიტი)
Sender's Acc.

GE55TB0600000017467328

გადამხდელის ბანკი

Sender's Bank

ბანკის კოდი Bank Code

სს თიბისი ბანკი

TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

ივსება მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაში გადახდების დროს

გადასახდის გადამხდელის
დასახელება

შპს 'გეოგრაფიკი' დისტანც. ზონდირებისა და გეოინფორმ. სისტ. საკონს.ცენტრი

საიდენტიფიკაციო კოდი
Sender's Tax Code

204920309

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზ. კოდი
Treasury Code

მიმღების დასახელება

Receiver

ბა ზინის ერთიანი ანგარიში. სსიპ -სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ანგარიში (კრედიტი)
Receiver's Acc.

707797130

მიმღების ბანკი

Receiver's Bank

ბანკის კოდი Bank Code

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის
თარიღი

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

TRESGE22

გადახდის დანიშნულება

Operation Details

გატარებულია
ბანკის მიერ

12-Mar-15

საკონკურსო წინადადებების წარდგენის საფასური

ხელმოწერა

დამატებითი ინფორმაცია

Additional Information

ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფცია (#1501) - თბილისის განვითარების ფონდი (ს/კ 404384974) კონკურსში მონაწილეობის საფასური

შტამპის ადგილი

გადამხდელის ხელმოწერები

Customer
signature

ბ.ა.



ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის შუამუშავება (პროექტი)

საკონკურსო წინადადება

ვთვლით, რომ თბილისის ამჟამინდელი განვითარება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და დემოკრატიულ სახელმწიფოებში შექმნილ ფასეულობათა სისტემისა და განვითარების პრინციპების თანადროულია და ამ პროცესის თანმდევად, მისი ძალისხმევა შესაბამისად თვითმყოფადი საქალაქო კულტურის შენარჩუნების, განვითარების და წარმოჩენისაკენ მიზანმიმართულად უნდა იყოს ორიენტირებული.

ასევე, ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ ვითარებაში, თბილისს, ბაქოსთან ტანდემში, ძალუძს შეასრულოს რეგიონული, ხოლო რიგ ფუნქციათათვის ტერიტორიის კორპორატიული მართვის ცენტრის მნიშვნელოვანი ფუნქცია.

ასეთ ვითარებაში გამორჩეული ყურადღების საგანს წარმოადგენს ქალაქის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფცია.

ამდენად, თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციას განვიხილავთ თანამედროვე მეთოდური, ორგანიზაციული, ტექნიკური და ინფორმაციული მიდგომების, ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტარის დანერგვისა და ამოქმედების ფონზე და განვსაზღვრავთ მას, როგორც ისტორიულ ურბანულ გარემოში საქმიანობის, მისი შეფასების და განვითარების დაგეგმვის თანამედროვე ინსტრუმენტს.

შესაბამისად თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფცია, როგორც ქალაქის გენერალური გეგმის შემადგენელი, ორიენტირებულია შემდეგ ძირითად პრინციპებზე - კანონის უზენაესობა; ქალაქგანვითარებაში ინტერეს-ჯგუფების (მოქალაქეები, ადგილობრივი თვითმმართველობა, იურიდიული პირები, სახელმწიფო) თანაბარსუბიექტიანობა, გამჭვირვალობა, ინფორმაციის მისაწვდომობა და მოსახლეობის მონაწილეობა; მართვის პერმანენტულობა. შედეგად – მუდმივმოქმედი მონიტორინგის პირობებში თბილისის ისტორიული ნაწილის გეგმას ექნება დაგეგმვისა და მოქმედების გეგმაზომიერი და ანგარიშგების თანმიმდევრობითი ხასიათი.

აქედან გამომდინარე:

1. თბილისის ისტორიული ნაწილი წარმოადგენს რა თბილისის გენერალური გეგმის წამყვან ქალაქგეგმარებით ერთეულს, ქალაქმშენებლობითი პოლიტიკის გატარებისას უნდა დაეყრდნოს შემდეგ ძირითად პრიორიტეტებს:

- თბილისის ისტორიული ნაწილის ქალაქგეგმარებითი გენეზისის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ მემკვიდრეობითობას და შემოქმედებით განვითარებას;
- თბილისის ისტორიული ნაწილის თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და აღდგენას;
- თბილისის ისტორიული ნაწილის მდგრად განვითარებას ტერიტორიის და ინფრასტრუქტურის რეორგანიზაციის, მისი ფუნქციის, ხარისხის და შესაბამისად, ეფექტურობის გაზრდის საფუძველზე;
- მიმდებარე ლანდშაფტურ-ეკოლოგიური რესურსის გამოვლენასა და გაძლიერებას;
- ერთიანი სატრანსპორტო სექტორის ფარგლებში შიდა სატრანსპორტო სისტემის განვითარებას

ეკოლოგიური მოთხოვნების, საფენმავლო ზონის გაზრდის და რაციონალურად განთავსებული ავტოპარკირების გათვალისწინებით;

- საზოგადოებრივი, საცხოვრებელი და საქმიანი სივრცეების განვითარებას;
- მთლიანად ქალაქის ურბანული ტერიტორიების ინტენსიურ ათვისებას. სტრუქტურული, ფუნქციური და სივრცობრივი რეორგანიზაციის განხორციელებას არსებული განაშენიანების საზღვრებში. ამავე საზღვრებში არსებული ტერიტორიული რესურსების გამოვლენას და მათი სავარაუდო ფუნქციების განსაზღვრას;
- თბილისის ისტორიული ნაწილის ფარგლებში საზოგადოებრივ-საქმიანი და საცხოვრებელ სივრცეების ურთიერთთავსებადობას;
- თბილისის ისტორიული ნაწილში არქიტექტურულ, კულტურულ და ისტორიულ ფასეულობათა პრიორიტეტს.

2. თბილისის ისტორიული ნაწილის და მის ისტორიულ-კულტურულ მემკვირეობას განვიხილავთ, როგორც ქალაქის და მისი იერსახის განვითარების ყველა ასპექტზე აქტიური გავლენის მქონე უმნიშვნელოვანეს ქალაქმაცხოვრებელ ფაქტორს. და ამდენად, ქალაქის ისტორიულ ნაწილში პრიორიტეტულად მიგვაჩნია ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, აღდგენა და მათი შესაფერისი ფუნქციით აღჭურვა, კომპოზიციური, სივრცობრივი, ხედვითი ურთიერთკავშირების ხაზგასმა.

ამ თვალსაზრისით ძველი თბილისის ურბანული განვითარება გამოიხატება:

- ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური რეაბილიტაციის უზრუნველყოფაში;
- ქალაქის ყველა ისტორიული, გეგმარებითი, ლანდშაფტური, კომპოზიციური, არქეოლოგიური და გარემოს შემქმნელი საფუძვლების, მათ შორის რელიეფის, საქალაქო თუ ბუნებრივი ლანდშაფტების ისტორიული მახასიათებლების, ქუჩების ისტორიული ქსელის, მოედნების, ქალაქმშენებლობითი ანსამბლების, დომინანტების, აქტიური ხედვის წერტილების, კულტურის უძრავი ძეგლების და ისტორიული განაშენიანების ქალაქგეგმარებითი და არქიტექტურული საშუალებებით გამოვლენასა და აქცენტირებაში.
- საქალაქო სივრცის ისტორიული მორფოტიპების, განაშენიანების გეგმარებითი სტრუქტურის, ისტორიული ლანდშაფტის ელემენტების შენარჩუნებაში.

3. თბილისის ისტორიული ნაწილის საცხოვრებელი განაშენიანება ძირითადად განვითარდება რესტავრაცია-რეკონსტრუქციის ხარჯზე შემდეგის გათვალისწინებით:

- წარმოდგენილი იქნება საცხოვრებელი სახლების საერთო დახასიათება (საცხოვრებელი ფართის, ბინების რაოდენობა; სართულიანობა; სიმჭიდროვე; ამორტიზაციის დონე);
- დადგინდება აქტიური რეკონსტრუქციის ზონები განსათავსებელი ფუნქციის/ფუნქციების და განაშენიანების რეგლამენტების განსაზღვრით.
- დაიგეგმება იმ ობიექტების ადაპტაცია ან ლიკვიდაცია, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ ტერიტორიაზე განთავსების ნორმატიულ მოთხოვნებს.

4. თბილისის ისტორიული ნაწილში სოციალური სფეროს განვითარება დაუკავშირდება:

- ზოგადად, ისტორიული ნაწილის მართვაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას;
- ისტორიული ნაწილის კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში მათ სწორად ინფორმირებადობას;
- ისტორიული ნაწილის სოციალურად და ეკონომიკურად გამოსადეგი ფუნქციებით, განსაკუთრებით კულტურის, გართობა-დასვენების, ხელით რეწვისა და მომსახურების სფეროში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას; შესაბამისად ღირებული სოციალური გარემოს იდენტიფიცირების შენარჩუნების მიზნით მათი ადგილზე დარჩენის ხელშეწყობას და ამით ჯენტრიფიკაციის პროცესის ოპტიმიზაციას;

5. თბილისის ისტორიული ნაწილში მართვის ყველა დონეზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ეკონომიკური მექანიზმების გამოყენებასა და გაზრდას, საქალაქო პროგრამების განხორციელებისათვის ფინანსური წყაროების მოზიდვას. ამ მიზნით უნდა შეიქმნას:

- ქალაქის ისტორიული ნაწილის უძრავი ქონებითა და ბუნებრივით რესურსებით(უპირველესად მიწის რესურსებით) ფინანსების მოზიდვის სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო სივრცის ჩამოყალიბების და გაფართოების წინაპირობები; სპეციფიკა
- თბილისის ისტორიული ნაწილის ეკოლოგიური პოლიტიკა საგნის კიდან გამომდინარე, უპირველესად ქალაქის ერთიან ეკოპოლიტიკაზე დამოკიდებული, მისი სრულყოფის ძირითად მიზანს ზოგადად გარემოზე ანტროპოგენური ზემოქმედების დასაშვებ დონემდე შემცირება წარმოადგენს. ეს უკანასკნელი საქალაქო ეკოსისტემებისათვის სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნებასა და მოსახლეობისათვის კომფორტული საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფაში გამოიხატება. თბილისის ისტორიული ნაწილის ფარგლებში იგი დაეყრდნობა:
 - ქალაქის ერთიან სატრანსპორტო სქემაზე მორგებულ, ინდივიდუალური სატრანსპორტო ნაკადების რეგულირებას;
 - სპეციფიკური ტრანსპორტისთვის (მოტოციკლეტი, მოტოროლერი, ელექტროკარი, ელექტროველოსიპედი და სხვა) გატვალისწინებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას;
 - საფეხმავლო ზონებისა და მარშრუტების ერთიანი ქსელის შექმნას;
 - მიწისქვეშა პარკირების უნივერსალური სისტემის შექმნას;

7. თბილისის ისტორიული ნაწილის სატრანსპორტო კომუნიკაციების მოწესრიგება უპირატესად უკავშირდება თბილისის სატრანსპორტო სისტემის განვითარების ერთიანი სტრატეგიას, და ზოგად პრინციპებს, რომელიც სატრანსპორტო კომუნიკაციებსა და სატრანსპორტო საშუალებებს შორის ოპტიმალური ბალანსის დამყარების საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე:

8. თბილისის ისტორიული ნაწილის სატრანსპორტო სისტემა ვითარდება ქალაქის ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში. მისი შიდა სატრანსპორტო კომუნიკაციების მოწესრიგება უკავშირდება შემდეგ ღონისძიებებს:

- შიდა საქალაქო გზებზე საზოგადოებრივი და კერძო ტრასპორტის ფუნქციონირების დაბალანსების; ინდივიდუალური ტრასპორტის პარკირების ახალი გეგმარებითი გადაწყვეტის და განსაკუთრებული რეჟიმით მოძრაობისათვის ტერიტორიული ზონების ორგანიზების წინადადებების მომზადება.
- საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის განუყოფელი ნაწილის სახით ფეხმავალთა ერთიანი სისტემის გამოვლინება და განვითარება.

9. თბილისის ისტორიული ნაწილის ქალაქმშენებლობითი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია საინჟინრო ინფრასტრუქტურა. საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების ზოგად პრინციპები ეფუძნება - რესურსების დაზოგვის, სისტემების მუშაობის საიმედოობის, ეკონომიურობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს. რაც მთავარია, წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების და თბომომარაგების სისტემები დამუშავდება ურთიერთშეთანხმებული კომპლექსური სამუშაო სისტემის საფუძველზე, რომელიც განსაკუთრებულად დიდი რაოდენობით ელექტროენერჯის დაზოგვის რეზერვებს გამოავლენს.

ქალაქის განვითარების მიმართულებების განსაზღვრაში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს მოქმედ საინჟინრო ინფრასტრუქტურაში არსებული პრობლემები, რომლის გადაჭრის გზაზე უმთავრესია წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების და თბომომარაგების ახალი ერთიანი კომპლექსური, ურთიერთშეთანხმებული, ეკონომიურად ეფექტური სისტემის დამუშავება. საინ-

ჟინრო ქსელების მონესრიგება საშუალებას მოგვცემს რაციონალურად გამოვიყენოთ ქალაქის ტერიტორიები (ელექტროგადამცემი ხაზების დაკაბელება, მაღალი წნევის გაზსადენის გადატანა და სხვა).

თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის თანამედროვე გის ტექნოლოგიებზე დამყარებული საინფორმაციო-ანალიტიკური სივრცის შემუშავების შესაძლებლობა და პრინციპები

- თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფცია განიხილება, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც ცვლილებების შეტანის პრინციპულად განსხვავებული შესაძლებლობები განსაზღვრავენ ამ დოკუმენტის შემდგომი განვითარების სპეციფიკას.
- შესაბამისად ამისა, თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების გეგმისათვის ინფორმაციის მოპოვება/შენახვა პერმანენტულ პროცესს წარმოადგენს. ასეთი გეგმის რეალიზაციის მონიტორინგის უწყვეტი ტექნოლოგიური ციკლი ამ პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, ხოლო მისი შეფასება უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისი სპეციალური ურბანული ინდიკატორების და მათგან წარმოებული ინდექსების მეშვეობით.
- განახლებადი ინფორმაცია უნდა იყოს ლაკონური, უმეტესად ცხრილების, გრაფიკებისა და გრაფიკული რუკების სახით, სადაც ტექსტს ამ მონაცემების განმარტებისა და ანალიზის სახე ექნება, უმეტესწილად უპასუხებს სივრცით-ტერიტორიული განვითარების მოთხოვნებს და განთავსდება საინფორმაციო ბაზაში.
- ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს განისაზღვროს საინფორმაციო ბაზაში მუდმივ-განახლებადი მონაცემების განთავსების ფორმები, ურთიერთმიმართება და გრაფიკული აღწერის ზოგადი პრინციპები, სადაც ინფორმაციის შევსება მოხდება შეუფერხებლად და პერმანენტულად.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული გის პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის სრული მზადყოფნა ამჟამადაც გაგვაჩნია, აღჭურვილი იქნება შემდეგი ავტომატიზირებული მოდულებით:

• მონაცემების დამატებისა და რედაქტირების სისტემა;

მონაცემების დამატებისა და რედაქტირების სისტემის მოდულის მეშვეობით გამარტივებული იქნება ბაზაში მიზნობრივი ინფორმაციის შეყვანის პროცესი, აგრეთვე არსებული მონაცემების რედაქტირებისა და განახლების პროცესი.

• კომპლექსური საძიებო სისტემა;

საძიებო სისტემა გულისხმობს მონაცემთა ბაზის ნებისმიერი ობიექტის ძიებას სასურველი პარამეტრების მნიშვნელობების მითითებით. როგორც საკუთრივ ობიექტისთვის დამახასიათებელი პარამეტრებით ძიების საშუალებას, ასევე ქალაქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფითა და სხვა ზოგადი პარამეტრებით ძიების შესაძლებლობას. შესაძლებელი იქნება ობიექტების ვიზუალიზაცია (მონიშვნა); აგრეთვე პირიქით – რუკაზე მონიშნული ობიექტიდან მისი ატრიბუტული ინფორმაციის დათვალიერება

• ანგარიშებისა და გრაფიკული ამონაწერების ფორმირების სისტემა;

ანგარიშებისა და გრაფიკული ამონაწერების ფორმირება გულისხმობს ცალკეული ობიექტებისათვის ან ძეგლის შედეგად მიღებული ობიექტებისათვის, შემუშავებული ფორმის მიხედვით, ან-

გარიშის ოპერატიულ გენერირებას, რომელიც ასახავს აღნიშნული ობიექტის ინფორმაციას და იძლევა ამ ინფორმაციის მყარი ასლის სახით ამობეჭდვის საშუალებას. გრაფიკულ ამონაწერებში, დამატებით, იქნება მოცემული ციფრული რუკიდან სასურველი ტერიტორიის გამოსახულება/ამობეჭდვა.

• **ანალიტიკური მოდული (სტატისტიკური და გეოსტატისტიკური ანალიზი).**

ანალიტიკური მოდული განახორციელებს, როგორც მონაცემების სტატისტიკურ ანალიზს, ასევე სივრცეში განთავსებული პარამეტრების გეოსტატისტიკურ ანალიზს. შესაძლებელი იქნება კონკრეტული პარამეტრის სივრცეში განაწილების ანალიზი და ვიზუალიზაცია, აღნიშნული პარამეტრების სხვადასხვა ადგილას აზომვების შედეგად.

პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის პროცესში შემკვეთი ორგანიზაციის სპეციალისტებთან აქტიურად ინარმოებს კონსულტაციები, რაც გულისხმობს კონკრეტული ამოცანების დასმას, სურვილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებას.

• **პროგრამა აღჭურვილი იქნება ქართულენოვანი აღმწერი დოკუმენტაციით, რაც ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის გაამარტივებს მის მოხმარებას.**

მონაცემთა ბაზის ფორმირების დროს გათვალისწინებული იქნება ეკონომიკური საქმიანობის კოდები (NACE), რაც გააადვილებს ქვემოთჩამოთვლილი ინფორმაციის სტრუქტურისა და ხარისხის განსაზღვრას.

გენგეგმის გის პროგრამული უზრუნველყოფის ეფექტური და მუდმივმოქმედი ფუნქციონირება მოითხოვს ინფორმაციის განახლებასა და შევსებას შემდეგი მიმართულებებით:

სოციალურ-ეკონომიკური მონაცემები:

1.1 ეკონომიკა

რეგისტრირებული საწარმოები და ორგანიზაციები:

- ფორმის მიხედვით (შპს; ს/ს; ინდ. მენარმე და სხვ.);
- საკუთრების მიხედვით (სახელმწიფო; საზოგადოებრივი; კერძო);
- მოქალაქეობის მიხედვით (საქართველოს მოქალაქე; უცხოელი);
- პროფილის მიხედვით (მრეწველობა; მშენებლობა; ტრანსპორტი; მეცნიერება; ტურიზმი; ვაჭრობა და სხვ.) საქმიანობის ხარისხის მიხედვით (მოქმედი, უმოქმედო, მოცულობა, ბრუნვა და სხვ.) (ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქალაქის ბიუჯეტის შევსების წყაროები: ტერიტორიის მასშტაბით; საინვესტიციო საქმიანობა);
- დასაქმების მიხედვით (რაოდენობა; კლასიფიკაცია; ასაკი; სქესი; განათლება; კვალიფიკაცია; საცხოვრებელი ადგილი და სხვ.) ცხოვრების დონე-ინდექსები.

ანალიზი განვანახორციელოთ ქრილში: წარმოება-მეცნიერება-განათლება;

1.2 მეცნიერება:

დანესებულებები; დისლოკაცია; სიმძლავრეები; სამეცნიერო რესურსები (ხარისხი; ასპირანტი; მიღება; ჩაბარება; გამოშვება; დასაქმება) დამხმარე პერსონალი.

ანალიზი:

- არსებული ფართისა და აღჭურვილობის ღირებულებების ფარდობა დასაქმებულებთან.

- გამოქვეყნებული პუბლიკაციები (მეცნიერებაზე; დანერგვა/მეცნიერებაზე; პატენტი/მეცნიერებაზე და სხვ).

მოსაძიებელია სამეცნიერო საქმიანობის სარგებლიანობის სხვა ინდიკატორებიც მოთხოვნა-მიწოდების კუთხით.

ანალიზი განვახორციელოთ ქრილში: მეცნიერება-განათლება-წარმოება.

1.3 განათლება:

უმალღესი; ტექნიკური; სასკოლო; სკოლამდელი (მოცულობის კატეგორიის; დატვირთვის; პერსონალის; სტუდენტების; განთავსების ადგილის მიხედვით).

ანალიზი განვახორციელოთ ქრილში: განათლება-მეცნიერება-წარმოება.

1.4 ჯანმრთელობის დაცვა:

განვიხილოთ კავშირში მეცნიერება-განათლება-სამედიცინო მომსახურება (საავადმყოფო; პოლიკლინიკა და სხვ.): პროფილის; კატეგორიის; დატვირთვის; პერსონალის; განთავსების ადგილის მიხედვით.

1.5 ვაჭრობა:

კლასიფიკაცია (მათ შორის საზოგადოება; ბაზრობები): სიმძლავრე; კატეგორია; დატვირთვა; დასაქმებულობა; დისლოკაცია).

1.6 ტურიზმი:

კლასიფიკაცია; სიმძლავრე; კატეგორია; დატვირთვა; დასაქმებულთა რაოდენობა; დისლოკაცია.

1.7 საინფორმაციო მომსახურება:

(ტელეფონი; მობილური; ინტერნეტი, მათ შორის ინტერნეტკაფე; ჩვეულებრივი და საკაბელო ტელევიზია; რადიოქსელი და სხვ.).

1.8 კომუნალური მომსახურება:

წყალკანალი; საბინაო-სარემონტო; გაზის ექსპლუატაცია; დასუფთავება და ნაგვის გატანა; დაკრძალვა; ცხოველებზე ზედამხედველობა; ავტოგასამართი და სამრეცხაო; საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მათ შორის კომპიუტერი; მწვანე ნარგავების მომსახურება; გაზის საფარის მომსახურება; ეკოლოგიური მონიტორინგი.

1.9 საბინაო ფონდი:

კაპიტალური; ავარიული; ძეგლი; ძეგლის ნიშნის მქონე; სარესტავრაციო; სართულიანობა; სიმჭიდროვე; უზრუნველყოფის ხარისხი.

1.10 სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურა:

- ბიბლიოთეკები; სიმძლავრე; მდგომარეობა;
- თეატრები; სიმძლავრე; მდგომარეობა; კატეგორია;
- სპორტული დარბაზები; საბილიარდოები; სპეციალიზირებული მოედნები;
- ბავშვთა სათამაშო მოედნები;
- კაზინოები;
- კულტურის კერები (ცეკვა, ესტრადა, ეთნოგრაფია, სიმღერა და სხვ.); ჰიგიენური სახლები და სხვ.

1.11 ტერიტორიის ზოგადი ბალანსი:

- სამოსახლო-არასამოსახლო(საწარმოო; კომუნალური; საზოგადოებრივ-საქმიანი; სპეცტესტირება);

- კერძო, სახელმწიფო; საზოგადოებრივი;

- რეკრეაცია (I; II; სასოფლო-სამეურნეო).

ზემოთჩამოთვლილი პარამეტრების მიხედვით ობიექტებზე ინფორმაციის შეყვანა (მუდმივად, ცვლილებების ისტორიის შენახვით) შესაბამისი პროგრამული საშუალებებით, მოგვცემს ქალაქის შესახებ ინფორმაციის და ინფორმაციული ნაკადების მართვისა და სწრაფად გამოყენების საშუალებას. აგრეთვე სხვა მრავალი ანალიტიკური ამოცანების გადაჭრას (ოპტიმიზაციის ამოცანა, მარშრუტიზაციის ამოცანა, შემზღუდავი კოეფიციენტების დათვლის ავტომატიზება, სხვადასხვა პროცესის თუ მოვლენის მოდელირება და ა. შ.) ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენთან გაერთიანებულ გის პროგრამისთვისა და ოპერატორებს დიდი გამოცდილება აქვთ სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებებსა და ინსტიტუტებში ანალოგიური გის პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისა, რაც უნიკალურ საშუალებას მოგვცემს იმ კუთხით, რომ პროექტის ფარგლებში შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა სხვა უწყებებში არსებულ საინფორმაციო სისტემებთან იქნება თავსებადი, რაც შესაძლებლობას მისცემს სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტს, ერთმანეთთან გაცვალოს/მიიღოს ინფორმაცია კორექტულად და ოპერატიულად.

დამატებითი შემოთავაზება

- ქ. თბილისის ისტორიული რუკები

დამატებით გთავაზობთ ქ. თბილისის სხვადასხვა საუკუნეებსა და წლებში შექმნილი რუკების (1867, 1913, 1924, 1972, 1981-88) ციფრულად დამუშავებულ და გეორეფერენსირებულ ვარიანტებს. ეს მოგვცემს საშუალებას წარმოვაჩინოთ და მაქსიმალურად ეფექტურად მოვახდინოთ თბილისის რეტროსპექტიული განვითარების ვიზუალიზაცია.

- ინტერნეტში განთავსება

აგრეთვე, დამკვეთთან შეთანხმების საფუძველზე, ჩვენი ჯგუფი უზრუნველყოფს გენგეგმის შედეგების საჯაროობას ვებ სივრცეში სპეციალური პროგრამული საშუალების გამოყენებით (უფასო ნვდომა-დათვალიერება, ცვლილების შეტანის ბლოკირებით)

ყველა კარტოგრაფიული პროდუქტი დააკმაყოფილებს პირობას:

კარტოგრაფიული პროექცია UTM

საკოორდინატო სისტემა WGS 84

საინფორმაციო სისტემა აიგება ESRI ArcGIS პროგრამულ პლატფორმაზე

მონაცემთა ბაზა იქნება წარმოდგენილი ESRI გეომონაცემთა ბაზის ფორმატში

უზრუნველყოფილი იქნება სწავლება და შემდგომი ტექნიკურ-საკონსულტაციო მომსახურება.

კონცეფციის შემუშავების შემდგომი ქმედებები პროექტის მართვა და განხორციელების სტრატეგია

თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციით განსაზღვრული პრინციპების დამუშავების და განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე ამ მიმართულებით ჩვენს მიერ უკვე გაწეული სამუშაოების გათვალისწინებით (იხ. დანართი 1) პროექტირების შემდგომ ეტაპზე მართებულად მიგვაჩნია:

1. დეტალური ანალიტიკური სამუშაოების ჩატარება შემდეგ სფეროებში:

- საზოგადოება
- ეკონომიკა

- გარემო
- 2. კონცეფციით განსაზღვრული პრიორიტეტებიდან გამომდინარე კონკრეტული მიზნების დასახვა
- 3. მათ მისაღწევად ერთიანი სტრატეგიის შემუშავება
- 4. ჩასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა, რაც უნდა მოიცავდეს
 - კონკრეტულ ტერიტორიაზე თუ ობიექტზე დეტალურად განერილ შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალს
 - სამუშაოთა შემსრულებელი სუბიექტის ვინაობას (მერია, კერძო ინვესტორი, საერთაშორისო ფონდები, რომელიმე სამინისტრო თუ სხვა)
 - სამუშაოთა შესრულების ვადებს

თბილისის ისტორიული ნაწილის განვითარებაში კერძო ინვესტიციების როლის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია მათი მიზანმიმართული და გეგმაზომიერი გამოყენება. ეს რესურსი არ უნდა მომხარდეს მხოლოდ ძვირადღირებული და პრესტიჟული ტერიტორიების განვითარებას. ამავდროულად ყოველ სარეაბილიტაციო უბანზე წინასწარ უნდა იქნას განსაზღვრული საჭირო კაპიტალდაბანდების სავარაუდო ოდენობა.

სამომავლოდ სასურველი იქნება დასავლური გამოცდილების გათვალისწინება და გამოყენება თბილისის ისტორიული ნაწილის განვითარების გეგმის განხორციელება - მართვის სფეროში. თუ შემდგომში მოგვეცემა ამის საშუალება, მზად ვართ ვისარაგებლოთ ჩვენი კავშირებით იმ ევროპულ სპეციალისტებთან, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩაბმულნი სხვადასხვა ქალაქების მსგავსი ტიპის გეგმების რეალიზაციაში.

სამუშაოები განხორციელდება იგივე მეთოდოლოგიით, როგორც ეს განხორციელდა 2006-2007 წწ-ში ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავებისთვის (იხ. ინფორმაცია განხორციელებული პროექტების შესახებ პუნქტი 11). ამას გარდა მოხდება დამკვეთისათვის გეომონაცემთა ბაზის ფორმირება, ვებ-პორტალის შექმნა, მონაცემების დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფის განახლება (რომელიც ადრე იყო გაკეთებული საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთვის) და ამ მონაცემებით სარგებლობის სწავლება.

სამუშაოების, მეთოდოლოგიის და საპროექტო არეალის სპეციფიკური ცოდნა კარგად არის წარმოჩენილი კომპანია გეოგრაფიკის და მის მიერ მონვეული სპეციალისტთა ჯგუფის წევრებში და მინიმალური დანახარჯებით (ზედმეტი რესურსები ხარჯვის გარეშე) მოხდება საპროექტო მიზნების მიღწევა.

გიორგი გოცირიძე,
დირექტორი
შპს „გეოგრაფიკი“
13.03.2015



პროექტის განხორციელების გრაფიკი და პროექტის ბიუჯეტი

კომპონენტი	ღირებულება ლარში დღგ-ს ჩათვლით	სამუშაო	თვეები																							
			I				II				III				IV				V				VI			
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
მობილიზაცია- ინვენტარიზაცია	69500	რესურსების მობილიზაცია	■																							
		საბაზო მონაცემების შეგროვება და ანალიზი	■	■																						
		არსებული მდგომარეობის ინვენტარიზაცია და გეომონაცემთა ბაზების შექმნა		■	■	■	■																			
ანალიზი	43000	არსებული მდგომარეობის კომპლექსური ანალიზი			■	■	■	■																		
		სტრატეგიული მიზნების, ამოცანებისა და ქმედებების პოზიციონირება			■	■	■	■																		
კონცეფციის დამუშავება	46000	ცალკეული ურბანული მიმართულებების განვითარების ხედვების ფორმირება							■	■	■															
		ურბანული ქსოვილის ერთიანი ინტეგრირებული სივრცითი განვითარების კონცეფციის ფორმირება									■	■	■	■	■	■	■									
		საპილოტე უბნებზე კონცეპტუალური პოზიციების დეტალური მოდელირება												■	■	■	■	■	■							
		შედეგების წარმოჩენა, დამკვეთთან განხილვა და შენიშვნების ასახვა																			■	■				
ინსტრუმენტარის დამუშავება	42000	საბოლოო პროდუქტის ფორმირება (მათ შორის გის-ი, "ვებ"-გის-ი, პროგრამული უზრუნველყოფა და სწავლება)	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	
განხილვები და პროდუქციის გადაცემა	14500	საჯარო განხილვები																					■	■	■	
		შენიშვნების ასახვა																					■	■	■	
		საბოლოო პროდუქციის ჩაბარება																							■	
სულ	215000																									

ფასი მოცემულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით - დღგ-ს (18%) ჩათვლით

გიორგი გოცირიძე
დირექტორი
შპს "გეოგრაფიკი"
13.03.2015



9 მარტი, 2015

განზრახვათა შესახებ ოქმი

შევისწავლეთ რა ა(ა)იპ ქ. თბილისის განვითარების ფონდის მიერ ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის შემუშავების შესახებ გამოცხადებული საკონკურსო განცხადება, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გავაერთიანოთ აღნიშნულ სფეროში ჩვენი გამოცდილება, ცოდნა და რესურსები, რათა ერთობლივი ძალისხმევით წარმატებულად განვახორციელოთ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები სასურველი შედეგის მისაღწევად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვაცხადებთ შემდეგს:

შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრ „გეოგრაფიკს“, ბულაჩაურის ქ. №10, 0160 თბილისი, საქართველო, დასახული აქვს მიზნად ზემოთ აღნიშნულ კონკურსში წარადგინოს საკონკურსო წინადადება.

ამასთან, შპს „სტუდია 21“-ის საქმიანი რეპუტაციის და პერსონალის კვალიფიკაციის გათვალისწინებით, აღნიშნული კომპანიის წარმომადგენლებთან, როგორც პოტენციურ ქვეკონტრაქტორთან, წარმოებდა წინასწარი მოლაპარაკება ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის შემუშავების სამუშაოთა ნაწილის მათ მიერ შესრულებასთან დაკავშირებით.

მოლაპარაკების შედეგად კომპანიები შეთანხმდნენ სათანადო ხელშეკრულებების გაფორმებაზე იმ შემთხვევაში, თუ შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“, როგორც ძირითადი კონტრაქტორი, მიიღებს უფლებას შეასრულოს აღნიშნული სამუშაოები.

გიორგი გოციროძე,
დირექტორი

შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“



მანანა თავხელიძე
დირექტორი
შპს „სტუდია 21“



ინფორმაცია შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკის“ შესახებ

კომპანიის რეზიუმე

შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“ შეიქმნა 1998 წელს ქ. თბილისში.

დაარსებიდან დღემდე „გეოგრაფიკი“ აქტიურად მოღვაწეობს თითქმის ყველა სფეროში. გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მართვა, ურბანიზაცია და არქიტექტურა, მუნიციპალური მართვა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები, ინფრასტრუქტურა, უძრავი ქონების ბაზარი, განათლება, კულტურული მემკვიდრეობა, საგანგებო სიტუაციები, თავდაცვა და უშიშროება, ჯანდაცვა და სოციალური სფერო – ეს ის კონკრეტული მიმართულებებია, სადაც „გეოგრაფიკმა“ ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია და თვალნათლივ წარმოაჩინა გისტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობა.

1998 წლიდან „გეოგრაფიკი“ თავისი საქმიანობით ხელს უწყობს საქართველოში სივრცითი ინფორმაციის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებას. „გეოგრაფიკს“ გააჩნია კორპორაციული და სპეციალიზირებული პროგრამული უზრუნველყოფების, მონაცემთა მართვის მოქნილი ტექნოლოგიების, საიმედო და მაღალი ხარისხის კარტოგრაფიული პროდუქციის შექმნის მრავალწლიანი გამოცდილება და შესაძლებლობები.

2002 წლიდან „გეოგრაფიკი“ მომხმარებელს სთავაზობს ფართო და მრავალფეროვან მომსახურებას გეოინფორმაციული სისტემების ფორმირებასა და გეომონაცემთა ბაზების მართვაში, გიზის პროექტების განხორციელებაში და დარგობრივი სისტემების განვითარებაში, მომხმარებელზე ორიენტირებული პროგრამული უზრუნველყოფების შექმნაში.

2004 წლიდან „გეოგრაფიკი“ კვლავ აფართოვებს საქმიანობის არეალს და მომხმარებელს სთავაზობს მომსახურების სრულ სპექტრს – აგეგმვებიდან მართვის სისტემებამდე.

თანამედროვე გლობალური განვითარების კვალდაკვალ, „გეოგრაფიკი“ ცდილობს გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემებისა და მონაცემთა მართვის გაუმჯობესებული ინსტრუმენტების გამოყენებით დააკმაყოფილოს სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მომხმარებლის პრაქტიკული მოთხოვნები, დაეხმაროს მათ საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებაში სივრცითი ინფორმაციის თავმოყრის, ანალიზის და შედეგების ვიზუალიზაციის გზით.

„გეოგრაფიკის“ საქმიანობა ორიენტირებულია შემდეგი მიმართულებებით:

- სივრცითი ინფორმაციის მოპოვება და სივრცითი ანალიზი;
- აეროგადაღება, აერო და კოსმოსური გამოსახულებების კომპლექსური დამუშავება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება;
- სპეციალიზირებული დარგობრივი გეოინფორმაციული სისტემების შექმნა;
- მართვის ინფორმაციული სისტემების შექმნა;
- ექსპერტული სისტემების შემუშავება;
- ფოტოგრამმეტრიული სამუშაოები და ორთოფოტოების დამზადება;
- გარემოს მდგომარეობის კვლევა და ანალიზი;

- გეომონიტორინგული კვლევები;
- ფართო სპექტრის კარტოგრაფიული საქმიანობა;
- საველე ტოპო-გეოდეზიური და საკადასტრო სამუშაოები;
- მინათსარგებლობის პროექტების შედგენა;
- ურბანული განვითარების პროექტების შედგენა;
- ESRI-ისა და Intergraph-ის პროგრამული პროდუქტების დისტრიბუცია, სწავლება და სერტიფიცირება;

„გეოგრაფიკის“ მიერ შექმნილი და გავრცელებული პროდუქცია მოიცავს:

- გეორეფერენსირებულ რასტრულ ტოპოგრაფიულ რუკებს;
- ვექტორულ მონაცემთა ბაზებს;
- დიდი ქალაქების, რაიონული ცენტრების, საკრებულოების, სოფლების ადმინისტრაციულ და დემოგრაფიულ მონაცემთა ბაზებს;
- ვექტორულ თემატურ რუკებს;
- აეროგადაღების მასალებს;
- ორთოფოტოებს.

„გეოგრაფიკი“ უზრუნველყოფს კონსულტაციებს მთელი საქართველოს მასშტაბით შემდეგი მიმართულებებით:

- სივრცითი ანალიზის შესაძლებლობების გათვითცნობიერება;
- პროგრამული პროდუქტების შერჩევა;
- პილოტური და სხვა პროექტების სპეციფიკაციის შერჩევა;
- დარგობრივი და კორპორაციული სისტემების დანერგვა;
- სპეციალიზირებული კონსულტაციები ESRI-ის პროგრამულ პროდუქტებში.

„გეოგრაფიკი“ გის-ტექნოლოგიების წარმოებაში ლიდერი კომპანიის ESRI-ის ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში.

ასევე, „გეოგრაფიკი“ წარმოადგენს ფოტოგრამმეტრიული პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი კომპანიის, Hexagon Geosystems-ის და სატელიტური გადაღები კომპანიის Digital Globe-ის ოფიციალურ წარმომადგენელს საქართველოში.

„გეოგრაფიკის“ მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მონაწილეობით და სივრცითი ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის ყველა თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით (ფოტოგრამმეტრია, დისტანციური ზონდირება, GPS-ტექნოლოგიები, კომპლექსური მონაცემთა ბაზები, თემატური და ინტერნეტის რუკების ფორმირება და სხვ.) განხორციელებულია სხვადასხვა ტიპის პროექტები, მათ შორის მრავალპროფილიანი, მრავალმიზნობრივი პროექტები.

„გეოგრაფიკის“ სასწავლო კურსები

1998 წელს „გეოგრაფიკში“ ჩამოყალიბებული სპეციალური სასწავლო ცენტრი ახორციელებს გეოინფორმაციული სისტემებისა და დისტანციური ზონდირების სფეროში აკადემიურ და სპეციალურ სასწავლო კურსებს. სწავლებას ატარებენ ცენტრის სერტიფიცირებული მასწავლებლები-

ბი, რომლებმაც სპეციალური სასწავლო კურსები გაიარეს მოსკოვის და ამერიკის შესაბამის სასწავლო ცენტრებში.

„გეოგრაფიკის“ მიერ შემუშავებულია სპეციალური მოსამზადებელი კურსები მენეჯერებისათვის (განყოფილებების, საპროექტო ჯგუფების ხელმძღვანელები) და გადაწყვეტილების მიმღებთათვის (საქალაქო სამსახურების უფროსები, ვიცე-მერები, მინისტრის მოადგილეები, და ა.შ.). მართვის კურსები ორიენტირებულია სისტემის ექსპლუატაციის ძირითად ასპექტებზე, დავალებების კორექტულ ფორმირებაზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებაზე.

სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ ტარდება მსმენელების ტესტირება და წარმატებულ მსმენელებს გადაეცემათ საერთაშორისო სერთიფიკატი.

ყოველწლიური კონფერენციები

„გეოგრაფიკი“ ყოველწლიურად ატარებს კონფერენციას, რომლის მიზანია საქართველოში დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასება, სივრცითი ინფორმაციის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაცია და ამ სფეროში არსებული პრაქტიკული მიღწევების გაშუქება. კონფერენციას ესწრებიან ESRI-ის, Intergraph-ის, Hexagon Geosystems-ის, Data+-ის, Digital Globe-ის და სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. გამოფენები, რომლებიც ეწყობა კონფერენციის ფარგლებში, საინტერესოა არა მხოლოდ სპეციალისტებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისათვის. გამოფენებზე წარმოდგენილია გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემებისა და დისტანციური ზონდირების ტექნოლოგიით შექმნილი პროდუქცია: სხვადასხვა მასშტაბის თემატურ რუკები, აერო და კოსმოსური გამოსახულებები, სამგანზომილებიანი მოდელები და სხვა გეოგამოსახულებები.

ორგანიზაციული სტრუქტურა

„გეოგრაფიკი“ აერთიანებს 40-მდე მაღალკვალიფიციურ თანამშრომელს, მათ შორის პროფესიონალებს გეოგრაფიის, კარტოგრაფიის, ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო დარგებში, ასევე პროგრამირების სფეროში.

„გეოგრაფიკი“ შემდეგი განყოფილებებისაგან შედგება:

- ადმინისტრაციული ჯგუფი - 4;
- გეოინფორმაციული სისტემების და მონაცემთა ბაზების განვითარების ჯგუფი - 4;
- გეოდეზიური და საკადასტრო კვლევების ჯგუფი - 7;
- ურბანული განვითარებისა და არქიტექტურული პროექტების მართვის ჯგუფი - 5;
- გარემოს დაცვის, გემონიტორინგული და სოციალური კვლევების ჯგუფი - 3;
- კარტოგრაფირების ჯგუფი - 6;
- დისტანციური ზონდირებისა და ფოტოგრამმეტრიის ჯგუფი - 6;
- პროგრამირების ჯგუფი - 3;
- სასწავლო და საკონსულტაციო ჯგუფი - 2;
- მარკეტინგის და შესყიდვების ჯგუფი - 3.

ადმინისტრაციული ჯგუფი პასუხისმგებელია კომპანიის საერთო ორგანიზაციულ და ტექნიკურ

მართვაზე, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და ხარისხობრივი საკითხების შემუშავებასა და კოორდინაციაზე, სტრატეგიული და ტაქტიკური გადამწყვეტილებების მიღებაზე

გეოინფორმაციული სისტემების და მონაცემთა ბაზების განვითარების ჯგუფი პასუხისმგებელია კორპორაციული სისტემების, პროგრამული მოდელებისა და პროტოტიპების შექმნაზე, ტექნოლოგიური ციკლის შემუშავებასა და დანერგვაზე, ტექნიკური სპეციფიკაციების შემუშავებაზე, დარგობრივი პროექტების და გეომონაცემთა ბაზების მართვაზე

გეოდეზიური და საკადასტრო კვლევების ჯგუფი პასუხისმგებელია სავალდებულო გეოდეზიურ და საკადასტრო აგეგმვებზე, სავალდებულო მონაცემების კამერალურ დამუშავებაზე, გეოდეზიური და საკადასტრო მონაცემთა ბაზების შექმნასა და განახლებაზე, მიმდინარე მრავალმიზნობრივი პროექტების გეოდეზიურ და საკადასტრო მხარდაჭერაზე

ურბანული განვითარებისა და არქიტექტურული პროექტების მართვის ჯგუფი პასუხისმგებელია ურბანული და არქიტექტურული პროექტების შემუშავებასა და მართვაზე, მინათსარგებლობის გენერალური გეგმების, განაშენიანების რეგულირების გეგმების, სტრატეგიული განვითარების კონცეფციებისა და ხედვების შექმნაზე და განვითარებაზე

გარემოს დაცვის, გემონიტორინგული და სოციალური კვლევების ჯგუფი პასუხისმგებელია გარემოსა და სოციალური კვლევების წარმოებაზე და შესაბამისი მონაცემთა ბაზების შექმნასა და განახლებაზე, გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშების მომზადებაზე, მიმდინარე მრავალმიზნობრივი პროექტების საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფაზე

კარტოგრაფირების ჯგუფი პასუხისმგებელია რუკების და სხვა კარტოგრაფიული პროდუქციის შექმნაზე, კარტოგრაფიული პროექტების მართვაზე პროგრამირების ჯგუფი ახორციელებს პროგრამული მოდელების და პროგრამული უზრუნველყოფების შექმნას, სახეცვლას და განახლებას

დისტანციური ზონდირებისა და ფოტოგრამეტრიის ჯგუფი პასუხისმგებელია დისტანციური ზონდირების მასალების დამუშავებაზე, ფოტოგრამეტრიულ საქმიანობაზე, აერო და კოსმოსური გამოსახულებების დეშიფრირებაზე, ორთოფოტოების დამზადებაზე, ტექნოლოგიური ციკლის შემუშავებასა და დანერგვაზე

პროგრამირების ჯგუფი პასუხისმგებელია პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე, დანერგვაზე და მის გამართულ მუშაობაზე, ასევე, სხვადასხვა არსებულ სისტემებთან მორგებაზე და მათთან ინფორმაციის მიმოცვლაზე, ორგანიზაციებისთვის სხვადასხვა სახის ელექტრონული სტრუქტურული საფუძვლის შექმნაზე და შესაბამისი ინფორმაციის სისტემატიზაციაზე და ციფრულ ფორმატში გადატანაზე

სასწავლო და საკონსულტაციო ჯგუფი ჩართულია სასწავლო პროცესის მართვასა და საკონსულტაციო მომსახურებაში

მარკეტინგის და შესყიდვების ჯგუფი აწარმოებს მარკეტინგულ კვლევებს, სარეკლამო საქმიანობას, საგარეო ურთიერთობების დამყარებას და შესყიდვების ორგანიზებას

დაარსებიდან დღემდე, „გეოგრაფიკი“ ახორცილებს მრავალმიზნობრივ, მრავალდისციპლინარულ და კომპლექსურ პროექტებს, რომლებშიც სხვადასხვა პროფილისა და სპეციალიზაციის ადგილობრივი თუ უცხოელი სპეციალისტები, ქვეკონტრაქტორი კომპანიები და პარტნიორები არიან ჩართულნი. წლების მანძილზე კომპანიას დაუგროვდა კომპლექსური პროექტებისა და სამუშაო ჯგუფების მართვის საკმაოდ დიდი გამოცდილება, რაც აისახება კომპანიის მიერ შესრულებული პროექტების სიმრავლეზე:

- ხერთვისი-ვარძია-ოლოდას კულტურული ლანდშაფტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა (2015)
- თუშეთის სივრცითი განვითარების სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება (2014)
- სტეფანწმინდის, დუშეთის და აბასთუმნის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება (2014)
- ქ. კასპის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენა (2014)
- დაბა ჩხორონყუს მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენა (2014)
- ქ. წყალტუბოს, როგორც სპა და გამაჯანსაღებელი კურორტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება (2014)
- კოლხეთის დაცული ტერიტორიების საზღვრის დადგენა (დელიმიტაცია), დემარკაცია და მინის რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება (2014)
- თბილისის ტერიტორიის აერო და ლიდარული გადაღება და ციფრული ორთოფოტოების მომზადება (2014)
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამსახურებს შორის დოკუმენტბრუნვის (ნებართვების სისტემა) სისტემატიზაციისთვის შიდა საკომუნიკაციო ინსტრუმენტის (ინტრანეტი) შექმნა (2014)
- საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე საზვავე უბნების კვლევის, მართვის ტექნოლოგიურ-ტექნიკური საშუალებების დადგენისა და ზვავების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება (2014)
- ქ. ფოთის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენა და ზონირება (2013-2014)
- სამთო-სათხილამურო კურორტ „გოდერძის“ საბაგირო გზებისა და სათხილამურო ტრასების საზვავე უბნების კვლევა, მართვის ტექნოლოგიურ-ტექნიკური საშუალებების დადგენა, ზვავსაწინააღმდეგო საშუალებების, ტრასების დამცავი ბარიერებისა და საინფორმაციო ნიშნების პროექტირება, ზვავების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება და შესაბამისი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (2013-2014)
- ანალიტიკური ანგარიშების გამოსახვის ვებ-პორტალის შექმნა პროექტისთვის - ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივა (NE#) (2013-2014)
- საძიებო, კვლევითი, საპროექტო, საპროექტო-საზედამხედველო სამუშაოებისა და მშენებლობის გეოდეზიური ზედამხედველობის განხორციელება თეთნულდის სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარებისათვის (2013-2015)
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის და გის პორტალის შექმნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და მისი ტერიტორიული ერთეულების - მუზეუმ-ნაკრძალებისათვის (2013-2016)
- განსახლების სამოქმედო გეგმის შედგენა ლაზიკას პორტის და მისასვლელი რკინიგზის ბუფერული ზონისთვის (2013)
- დ. სტეფანწმინდას სამთო-სათხილამურო არეალის გენერალური გეგმის შემუშავება (2012)

- ბაგრატის ტაძრისა და გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ბუფერული ზონების კარტოგრაფიული კვლევა-ანალიზი (2012)
 - მცხეთის ისტორიული ძეგლების მართვის გეგმის შემუშავება (2012)
 - ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივნის მიმდებარე ტერიტორიაზე (ფართობი 1.9 ჰა) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება (2012)
 - ქ. თბილისში, გლდან-ნაძალადევის რაიონში მდებარე შენობების და შენობებში არსებული დასამისამართებელი ერთეულების ნახაზების და ერთიანი გეომონაცემთა ბაზის შექმნა (2012)
 - ქ. ბორჯომსა და დაბა ბაკურიანში, საპროექტო ტერიტორიებზე, საცხოვრებელი/სადაჩე მიკრო უბნების განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) პროექტის მომზადება/დამტკიცება (2012)
 - გოდერძის უღელტეხილზე სამთო-სათხილამურო არეალის სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობა (2012)
 - ქ. თელავის სატრანსპორტო ქსელის ინვენტარიზაცია და შესაბამისი ერთიანი გეომონაცემთა ბაზის შექმნა (2012)
 - ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობასთან დაკავშირებით აზომვითი სამუშაოების ჩატარება (2012)
 - განსახლების სამოქმედო გეგმის შედგენა თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო ხაზის მოდერნიზაციის პროექტისთვის (2011-2013)
 - კურორტ “გოდერძი“-ს დეტალური სივრცითი გეგმარება (2011-2012)
 - ქ. ამბროლაურის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენა (2011)
 - გუდაურის სარეკრეაციო ზონის სივრცითი განვითარების კონცეფციის, გუდაურის მინათ-სარგებლობის გენერალური გეგმის მომზადება და “ძველი გუდაურის” განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადება (2011)
 - ქ. მცხეთის ურბანული მენეჯმენტის I ეტაპის სამუშაოები: ქ. მცხეთის მრავალპროფილიანი წინასაპროექტო კვლევა (2011)
 - სამთო-სათხილამურო არეალის (მიტარბი) გენერალური გეგმის შემუშავება (2011)
 - თეთნულდი/ადიშის სათხილამურო ტრასების გეგმარება (2011)
 - უძრავი ქონების შესყიდვა თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის პროექტის საჭიროებისთვის და ქონების დარეგისტრირება სს „საქართველოს რკინიგზის“ სახელზე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (2010-2011)
 - უძრ - თბილისის ახალი ოთხეზონიანი სარეკრეაციო ზონის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შემუშავება (2010-2011)
 - გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიის ქალაქგეგმარებითი კვლევა, სამთო-სათხილამურო კურორტის გეგმარების გეოსაინფორმაციო უზრუნველყოფა და სამთო-სათხილამურო ინფრასტრუქტურის კონცეფციის ფორმირება (2010)
 - მესტიის მუნიციპალიტეტის ერთიანი სივრცითი განვითარების კონცეფციის, მინათსარგებლობის გენერალური გეგმის, ჰანვალის ველის განაშენიანების რეგულირების გეგმის, ჰანვალის-ზურულდის საბაგირო და სათხილამურო ტრასების პროექტის შემუშავება (2010)
 - გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება და გასახლების სამოქმედო გეგმის შედგენა ნამოხვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტისათვის (2010)
 - თბილისის შემოვლითი რკინიგზის ხაზის პროექტისთვის ზემოქმედების ქვემოქცეული მოსახლეობის სოციალური შეფასება და განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება (2009-2010)
 - მდ. არაგვის ხეობის, ჟინვალის წყალსაცავის, თბილისის წყალსაცავის, მდ. ხრამის სათავე ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიის და მდ. ქსნის ხეობის ტოპოგრაფიული კვლევა (2009-2010)
 - საქართველოს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერის პროექტი - მუნიციპალიტეტების ფარგ-

ლებში არსებული სოციო-ეკონომიკური ქონების ინვენტარიზაცია ჩს-სისტემის გამოყენებით - (2009)

- ქ. თბილისის ცენტრალური ნაწილის მიწათსარგებლობის მდგომარეობის ანალიზი და კარტოგრაფირება (2009)
- საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ტერიტორიის ციფრული ქართულენოვანი ტოპოგრაფიული რუკების შექმნა 1:10000-იან მასშტაბში (2009)
- წყალტუბოს მღვიმისა და სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ტურისტული კომპლექსის გენერალური გეგმის შემუშავება (2008)
- ტერიტორიის განაშენიანების დასაბუთება (აბანოთუბანი) (2008)
- აეროფოტოგადაღების მასალებზე დაყრდნობით ტოპოგრაფიული რუკების დამზადება მუშა პროექტის “რკინიგზის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია და მშენებლობა სადგ. მარაბდა - სადგ. ახალქალაქი-სატვირთო“ დასამუშავებლად (2008)
- დაბა გუდაურში საპროექტო ტერიტორიის (ფართობი - 10ჰა) განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება (2008)
- ქ. ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენა, ქ. ბათუმის პერსპექტიული განვითარების ხედვა, ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შექმნა (2008)
- მთაწმინდის რაიონის ზედა უბანში, ახალ გზას და ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩებს შორის მდებარე საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება (2008)
- ქუთაისისა და ფოთის მუნიციპალური განვითარების პროექტი (2007-2009)
- დაბა ბაკურიანის მიმდებარე ტერიტორიის (დიდველი) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება (2007)
- E60 მაგისტრალის იგოეთი-სვენეთის საგზაო მონაკვეთის მოდერნიზაციისთვის გარემოს შეფასების, გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის და განსახლების სამოქმედო გეგმის შედგენა (2007)
- დაბა ბაკურიანის წრიული გზის აღმოსავლეთით მდებარე “კობტის ძირისა და 25 მეტრიანის” ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმა (2007)
- დაბა ბაკურიანის მიმდებარე ტერიტორიების (სოფლები: ციხისჯვარი, მიტარბი, პატარა მიტარბი, თორი) მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (2007)
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის (რაიონის) სივრცითი მონყობის გეგმა (2007)
- შაორის ტურისტულ-სარეკრეაციო ზონის განვითარების გენერალური გეგმის შემუშავება (2006-2007)
- ძველი თბილისის ტურისტული მარშრუტის - “ნარიყალას ბილიკის” შექმნა (2006-2007)
- თბილისისა და ბათუმის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის განვითარება (2006-2007)
- დაბა ბაკურიანის მიწათსარგებლობის საყრდენი გეგმის განვითარება (2006-2007)
- ქ. ფოთის უფლებრივი ზონირების ზოგადი რუკების დამზადება (2006)
- დაფარვითი ინვენტარიზაცია ქ. თბილისის დაცვით ზონებში (სახელმწიფო დაცვის, განაშენიანების რეგულირებისა და ლანდშაფტის დაცვის ზონები) (2005)
- ქ. თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენგეგმის წინამოსამზადებელი სამუშაოები; ქ. თბილისის საინჟინრო ინფრასტრუქტურის საყრდენი გეგმის მომზადება (2005)
- ტყის ინვენტარიზაციისა და მონაცემთა დამუშავების ტესტირება ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში (2004- 2005)
- ქვეყნის დასახლებათა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავება (ქ. გორი, ქ. ფოთი, ქ. ბათუმი, ქ. ქობულეთი) (2004)

- ქ. თბილისის სატრანსპორტო ქსელის ოპტიმიზაცია (2004)
- კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრების გამიჯვნა და მიღება- ჩაბარების პროცედურების უზრუნველყოფა (2003-2004)
- ონისა და ამბროლაურის რაიონების საკადასტრო ინფორმაციის შეგროვება და უძრავი ქონების რეგისტრაცია (2003-2004)
- კადასტრისა და რეგისტრაციის მონაცემთა ბაზების პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა (2003-2004)
- გის-ი სიღარიბის კარტოგრაფირებაში (2003)
- ჯანდაცვის სექტორის რეაბილიტაციის გეოინფორმაციული სისტემა და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა (2002-2004)

გიორგი გოცირიძე,
დირექტორი
შპს „გეოგრაფიკი“
13.03.2015



ინფორმაცია პოტენციური ქვეკონტრაქტორის შესახებ

კომპანიის რეზიუმე

„სტუდია 21“

მის.: თბილისი, თენგიზ აბულაძის №21; ტელ: 258-101/102;

საკონტაქტო პირი: მანანა თავხელიძე; ტელ: 595-14-22-66; mananataav@yahoo.com

„სტუდია არსი“, როგორც დამოუკიდებელი არქიტექტურული სტუდია, დაარსდა 1989 წელს, ხოლო 2014 წელს გადაერქვა სახელი და აგრძელებს მუშაობას, როგორც „სტუდია 21“ და ამ ხნის განმავლობაში განხორციელებული აქვს სხვადასხვა სიდიდის და მნიშვნელობის ობიექტები, ურბანული პროექტებიდან - ბალის დიზაინამდე. სტუდიაში მუშაობს, 6 წამყვანი არქიტექტორი, 16 დამხმარე არქიტექტორი, 2 სტატიკის ინჟინერი, 2 ინფრასტრუქტურის ინჟინერი, 1 ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი, 8 თანამშრომელი.

სერვისი, რომელსაც სტუდია სთავაზობს დამკვეთს:

- საპროექტო დავალების ჩამოყალიბება
- ესკიზური პროექტირება
- ქალაქგეგმარებითი პროექტები
- არქიტექტურული პროექტირება
- საინჟინრო პროექტი
- დიზაინი

ბოლო წლების საპროექტო სამუშაოების ჩამონათვალი:

გენგეგმები და მასტერპლანები

1. საცხოვრებელი კომპლექსი ორთაჭალის ტურფა გენგეგმა
2. საცხოვრებელი კომპლექსი დიდ დილოში გენგეგმა
3. ორთაჭალჰესიდან მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და დოლაბაურის ქუჩებს შორის მდებარე ტერიტორიების განაშენიანების ჩარჩო გეგმა
4. ბათუმის მერიის კვარტალი
5. ბათუმის კვარტლის რეკონსტრუქცია
6. ბათუმის ახალი საცხოვრებელი კვარტალი
7. კინოს უბანი (ბათუმი)
8. ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიის განვითარების კონცეფცია (ბათუმი)
9. საცხოვრებელი კვარტალი ხელვაჩაურის რაიონში
10. ავალბარში, ქეთევან წამებულის გამზირით, 300 არაგველის ქუჩით და შავი სოფლის ქუჩით შემოსაზღვრული ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა
11. ისანი-სამგორის რაიონში “დირსიჭალის” მიმდინარე ტერიტორიის განაშენიანების პროექტი
12. ბათუმის ისტორიული ნაწილის განაშენიანების რეგულირების წინადადება
13. საცხოვრებელი კომპლექსი “ორთაჭალის ტურფის” ბუღვარის კეთილმოწყობის ესკიზური პროექტი.
14. გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიის ქალაქგეგმარებითი კვლევა

15. კრწანისი რეზიდენსი - მასტრპლანი - (ბაზელი)
16. ავალარში, ქეთევან წამებულის გამზირით, 300 არაგველის ქუჩით და შავი სოფლის ქუჩა, "შავსოფელი" - მასტრპლანი
17. თბილისის ზღვის განვითარების ჩარჩო გეგმა
18. დიდუბის, ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიის პერსპექტიული განვითარების გეგმა
19. ახალციხის რაიონის საცხოვრებელი კვარტლის განვითარების გეგმა
20. ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა. საცხოვრებელი სახლი
21. ინდივიდუალური საცხოვრებელი უბანი ვაკეში (ყოფილი "სტუტქალაქის" მიმდებარე ტერიტორიაზე)
22. საცხოვრებელი კომპლექსი გაბაშვილის ქუჩაზე

საცხოვრებელი

1. საცხოვრებელი კომპლექსი ასათიანისა და ფარნავაზ მეფის ქუჩის კუთხეში (ბათუმი)
2. საცხოვრებელი სახლი თავდადებულის ქუჩაზე (ბათუმი)
3. საცხოვრებელი კომპლექსი ხიმშიაშვილის ქუჩაზე (ბათუმი)
4. საცხოვრებელი კომპლექსი ჯავახიშვილის ქუჩაზე (ბათუმი)
5. მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის არქიტექტურული პროექტი სოფელ ქურთაში.
6. ქ. თბილისში, გ. წერეთლისა და ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში საცხოვრებელი შენობის "შობა" პროექტი
7. საცხოვრებელი კომპლექსი შავი ზღვის ქუჩაზე
8. ქ. თბილისიში, ქეთევან წამებულის № 24 და ფოსტის ქ. № 3/5, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი "პატარა ავლაბარი"
9. ავალარში, ქეთევან წამებულის გამზირით, 300 არაგველის ქუჩით და შავი სოფლის ქუჩაზე, საცხოვრებელი კომპლექსი "შავისოფელი"
10. ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა, საცხოვრებელი სახლი.
11. კრწანისი, საცხოვრებელი კომპლექსი
12. ნავკისი, კერძი სახლი
13. ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა, საცხოვრებელი სახლი
14. ქ. თბილისი აბულაძის ქუჩა, საცხოვრებელი სახლი
15. საცხოვრებელი კომპლექსი ხილიანის ქუჩაზე
16. საცხოვრებელი სახლი ყიფშიძის ქუჩაზე

საზოგადოებრივი შენობები და სხვა

1. მრავალფუნქციური ცენტრი მაზნიაშვილის ქუჩაზე (ბათუმი)
2. ჰამამი — აღმოსავლური უბანი (ბათუმი)
3. ახალი საქმიანი ცენტრი გოგებაშვილის ქუჩაზე (ბათუმი)
4. სავაჭრო — საქმიანი ცენტრი ჭავჭავაძისა და გოგებაშვილის ქუჩის კუთხეში (ბათუმი)
5. მრავალფუნქციური კომპლექსი ხიმშიაშვილის და კობალაძის კუთხეში (ბათუმი)
6. მრავალფუნქციური ცენტრი ერას ქუჩაზე (ბათუმი)
7. ბათუმი პიონერთა პარკის რეკონსტრუქციის კონცეფცია (კონკურსი)
8. ბათუმი სანაპირო ზოლის მონყოზის კონკურსი
9. ფოტო-პროექტი "ბათუმი ბათუმი"

10. ფოტო-პროექტი “ზემო აჭარა”
11. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალი საერთო საცხოვრებლის პროექტი.
12. ქ. თბილისში, გიორგი ჩიტას სახელობის ღია ცის ქვეშ მუზეუმის ვიზიტორთა ცენტრის პროექტი.
13. ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე, სავაჭრო ცენტრი “ქარვასლა”
17. ქ. თბილისის საოფისე შენობა ვუკოლ ბერიძის ქუჩაზე
14. რუსთაველის გამზირი, ცისფერი გალერეის რეკონსტრუქცია
15. ხიხანის ციხის (ხიხაძირის ციხე) საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება
16. ქ.ბათუმში შორდანისა/ზ.გამსახურდიას ქ.N8/15 -ში გალერეის მიწყობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება
17. ქ.ბათუმში, სამუზეუმო სივრცის მოწყობა
18. კურორტი გოდერძი (სოფ. დანისპარაული) სასტუმროს, კოტეჯი, ღია ავტოსადგომი და სამთო ინფრასტრუქტურის მომზადება
19. შუახვევის მუნიციპალიტეტი, ლომას მთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსისათვის გამოყოფილი ტერიტორიის კვლევისა და გენერალური გეგმის სქემის პროექტის (კონცეფცია) შესყიდვა
20. საფეხბურთო კლუბ ქუთაისის ტორპედოს სპორტული ბაზის რეკონსტრუქციისა და ბავშვთა საფეხბურთო აცადემია
21. თეთნულდის, სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი
22. მრავალფუნქციური ცენტრი ნაძალადევში.
23. ნავთლუღის რკინიგზის სადგურში მრავალფუნქციური სავაჭრო-სატრანსპორტო ცენტრის შენობის პროექტი.
24. ბიზნეს ცენტრი ავლაბარში
25. საქართველოს ეროვნული ბანკის რეკონსტრუქცია.
26. ოლიმპიური კომპლექსის გენგეგმა
27. ოლიმპიური სანყალოსნო კომპლექსი

ინტერიერი და დიზაინი

1. კერძო სახლის ინტერიერი, ქ.თბილისი, დიდი დილომი,
2. სახლის ინტერიერი, ქ. თბილისი, ბარნოვის ქუჩა,
3. კერძო სახლის ინტერიერი, ქ. თბილისი, კაკლები,
4. კერძო სახლის ინტერიერი, ქ. თბილისი, ლვოვის ქუჩაზე,
5. კერძო სახლის ინტერიერი, ქ. თბილისი, აბულაძის ქუჩაზე,
- 6 კერძო სახლის ინტერიერი, ქ. თბილისი, შატბერაშვილზე,

გიორგი გოცირიძე,
დირექტორი
შპს „გეოგრაფიკი“
13.03.2015



ინფორმაცია შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკის“ და პოტენციური ქვეკონტრაქტორის მიერ განხორციელებული პროექტების აღწერა კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმების შემუშავების, ისტორიული ურბანული დასახლებების კვლევის, კულტურული მემკვიდრეობისა და ქალაქმშენებლობით სფეროებში კონცეფციებისა და მეთოდური ინსტრუქციების შემუშავების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე საინჟინრო-კონსტრუქციული სამუშაოების წარმოების, აღდგენა-გამაგრებისა და რეაბილიტაციის კუთხით. პროექტების განხორციელებისას გამოყენებულ იქნა თანამედროვე გეოტექნოლოგიური მიდგომები საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად და კულტურული ლანდშაფტების/ისტორიული ურბანული ქსოვილის კვლევის საერთაშორისო გამოცდილება ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროექტების ფარგლებში სამუშაოების განხორციელების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტები თანდართულია

| № | პროექტის დასახელება/
პროექტის განმახორციელებელი | პროექტის ფარგლებში შესრულებული
სამუშაოების მოკლე აღწერა | დამკვეთი | პროექტის
ლირებულება | შესრულების
ვადა |
|---|--|---|--|------------------------|--------------------|
| 1 | ხერთვისი-ვარძია-ოლოდას კულტურული ლანდშაფტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა

შპს გის და ღზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“ | პროექტის მიზანია: 1. ხერთვისი-ვარძია-ოლოდას კულტურული ლანდშაფტის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების შედგენისათვის, წინასაპროექტო კვლევის ჩატარება და სტრატეგიული განვითარების ხედვის (კონცეფცია) შექმნა; 2. თვითმმართველობის მიერ გეგმარებით დავალების გაცემა; 3. ხერთვისი-ვარძია-ოლოდას კულტურული ლანდშაფტის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება; 4. ხერთვისი-ვარძია-ოლოდას კულტურული ლანდშაფტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის შედგენა. პროექტის მიზნების მისაღწევად შესასრულებელი სამუშაოები მოიცავს: მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, სისტემატიზაციას, გეომნაცემთა ბაზების მართვას, სივრცეების ზონირებას, გეგმარებას, არქიტექტურის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, განსახლების, საოციალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის კვლევისა და ანალიზს; არსებული ბუნებრივი გარემოს ანალიზს, კულტურული ლანდშაფტის განვითარების შესაძლებლობების ანალიზს, დაცული ლანდშაფტის იდენტიფიცირებას, ლანდშაფტის განვითარებისა და მართვის კონცეფციის, ზონირების და განვითარების ქმედებების | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 485000 ლარი | 26.2015 - 11.2015 |

| | | | | | |
|---|---|--|---------------|------------|-------------------|
| | | <p>იდენტიფიცირებას; ისტორიულ-კულტურული საყრდენი ინფორმაციის დამუშავებას, მყარი ნარჩენების მართვის და საინჟინრო, საკომუნიკაციო და კომუნალური მეურნეობის საკითხების მართვას, ეკონომიკურ და სოციალურ-გეოგრაფიულ ანალიზს, ეკონომიკური და სოციალური ტრენდების განსაზღვრას, შესაძლებლობებისა და რისკების იდენტიფიცირებას, მაკრო- და მიკრო-ეკონომიკური სტრატეგიული მიზნების იდენტიფიცირებას. პროექტის შედეგები: არსებული მდგომარეობის კომპლექსური ანალიზი, ტერიტორიის მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული კონცეპტუალური დოკუმენტი, რომელშიც სამიზნე ორიენტირია კულტურული მემკვიდრეობის და ლანდშაფტური ღირებულებების დაცვა და ისტორიულ-ეთნოლოგიური კონტექსტების წინ წამოწევა ადეკვატური და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით, UNESCO-ს მოთხოვნებზე მორგებული იდეოლოგიური და ტექნიკური სტანდარტების უზრუნველყოფა</p> | | | |
| 2 | <p>თუშეთის სივრცითი განვითარების სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება</p> <p>შპს გის და ღზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“</p> | <p>სივრცით-ტერიტორიული, ურბანული და არქიტექტურული პრობლემების იდენტიფიცირება და სისტემატიზაცია; თუშეთის სივრცითი დაგეგმარების და ზონირების ანალიზი; ომალოს, შენაქოსა და დიკლოს განვითარების ანალიზი; შენობების ხარისხის ანალიზი ომალოში, შენაქოსა და დიკლოში; სახელმძღვანელოების მომზადება თუშეთის სივრცითი დაგეგმარების განვითარებისათვის; სახელმძღვანელოების მომზადება ომალოს, შენაქოსა და დიკლოს მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განვითარებისათვის, რეგულირების გეგმისა და ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავებისათვის; ომალოში, შენაქოსა და დიკლოში არსებული და დაგეგმილი შენობების განვითარების, არქიტექტურული და სამშენებლო სახელმძღვანელოების მომზადება. შესრულებული სამუშაოების საფუძველზე შეიქმნა: თუშეთის ტერიტორიის სივრცითი განვითარების გეგმის სახელმძღვანელო; ომალო, შენაქოსა და დიკლოს გენერალური გეგმის სახელმძღვანელო; შენობების არქიტექტურული დასამშენებლო სახელმძღვანელო</p> | მსოფლიო ბანკი | 49560 ლარი | 10.2014 - 03.2015 |

| | | | | | |
|----------|--|--|--|---------------------------|------------------------------|
| <p>3</p> | <p>ქ. წყალტუბოს, როგორც სპა და გამაჯანსაღებელი კურორტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება</p> <p>შპს გის და დბ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“</p> | <p>ქ. წყალტუბოს, როგორც სპა და გამაჯანსაღებელი კურორტის განვითარების კონცეფციის და ხედვის შექმნა; წყალტუბოს ძირითადი არსებული და პოტენციური აქტივების ტექნიკური შეფასება; ინვენტარიზაციის დეტალური ფონდის შექმნა იმის შესახებ, თუ რა არსებობს და რა იგეგმება: აქტივების ხარისხის, მათი ხელახალი გამოყენების ან განვითარების პოტენციალის შეფასება, აუცილებელი ინვესტიციების ან ცვლილებების საჭიროების განსაზღვრა, ყველა ფიზიკური და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან (ICT) დაკავშირებული ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი გარემო და პირობები, ჰაერი, წყალი და სხვა გამაჯანსაღებელი თუ სამკურნალო აქტივები, გრინფილდის (მწვანე, აუთვისებელი ტერიტორიები) ათვისების ადგილები, ბრაუნფილდის (უკვე ათვისებული, სამრეწველო ან კომერციული მიზნებით გამოყენებული და მიტოვებული ტერიტორია) ადგილები, წყალტუბოში არსებული ობიექტების სრული ინვენტარიზაცია მათი მდგომარეობის დეტალური აღწერით (აბანოები, სანატორიუმები და რეგიონში არსებული ყველა სხვა შენობა, რომელიც ხელმისაწვდომია განვითარებისათვის)</p> | <p>საქართველოში
Kohl & Partner
(Schweiz) AG-ის
მუდმივმოქმედი
წარმომადგენლობა</p> | <p>65000
დოლარი</p> | <p>06.2014-
08.2014</p> |
| <p>4</p> | <p>ყაზბეგის, დუშეთის და აბასთუმნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის მომზადება</p> <p>შპს გის და დბ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“</p> | <p>ყაზბეგის, დუშეთის და აბასთუმნის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შექმნა, რომელიც ორიენტირებულია ურბანული მართვისა და ფიზიკური განვითარების გაუმჯობესებაზე, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაზე, რაც მიზნად ისახავს ქალაქის ფიზიკური ინფრასტრუქტურის (განსაკუთრებით ურბანული ტრანსპორტი და მყარი ნარჩენების მართვა და კონტროლი) გაუმჯობესებას, ჯანსაღი გარემოს შექმნას ურბანული რეგენერაციის პროექტების მხარდასაჭერად. პროექტის განხორციელებისას მოხდა არსებული დოკუმენტების ანალიზი, სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, არსებული მდგომარეობების დიაგნოსტიკა, დასახლებების დადებითი და უარყოფითი მხარეების იდენტიფიცირება, პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა, გარემოს გამოწვევების ანალიზი და სპეციფიკური წინადადებების განვითარება სამ დასახლებაში სამშენებლო გარემოს მხარდასაჭერად, სიღარიბის სტრუქტურის და არსებული მუნიციპალური სერვისების და ინფრასტრუქტურული ნაკლოვანებების ანალიზი, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება სამ ქალაქში ფიზიკური ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, გაანალიზებულ იქნა მარკეტინგული და ბრენდირების შესაძლებლობები, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ასპექტები, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებები, ბიზნესის ინსტიტუციონალური და სხვა ბიზნეს-ეკონომიკური საკითხები</p> | <p>საქართველოს
მუნიციპალური
განვითარების ფონდი</p> | <p>286544.40
ლარი</p> | <p>11.2014 -
12.2014</p> |

| | | | | | |
|----------|--|--|--|-------------------|--------------------------|
| <p>5</p> | <p>მცხეთის ისტორიული ძეგლების მართვის გეგმის შემუშავება</p> <p>შპს გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“</p> | <p>მცხეთის ისტორიული ძეგლების მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში იდენტიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით ძეგლისა და ბუფერული (დამცავი) ზონის საზღვრების რეტროსპექტიული ანალიზი; ძეგლისა და ბუფერული (დამცავი) ზონის საზღვრების (მათ შორის მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის სხვადასხვა პერიოდის საზღვრების) შედარებითი ანალიზი; ძეგლებისა და მათი გარემოს ავთენტურობის და მთლიანობის შეფასება; მცხეთის ისტორიული ძეგლების გამოყენების პოტენციალის, მათ შორის: ა) საგანმანათლებლო, ბ) ტურისტულ-რეკრეაციული, გ) სამეცნიერო-კვლევითი და დ) ეკონომიკური პოტენციალის ანალიზი და შეფასება, დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებით მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის მდგრადი გამოყენებისათვის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა; რეკომენდაციების შემუშავება მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებისა და ბუფერული (დამცავი) ზონის მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ დამტკიცებული საზღვრების კორექტირებისათვის და მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ბუფერულ (დამცავ) ზონაში მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის შეტანის შესაძლებლობასთან დაკავშირებით; ჩატარებული ანალიტიკური სამუშაოების საფუძველზე, დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებით მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის თითოეული ძეგლისათვის დაცვის, რეაბილიტაციისა და გამოყენების სარეკომენდაციო პირობების, გრძელვადიან პერსპექტივში პრიორიტეტულად მისაღები ზომებისა და მათი განხორციელების სამოქმედო გეგმისა და პასუხისმგებელი მხარეების განსაზღვრა. ასევე, პრევენციული დაცვის, ვიზიტორთა მართვის, ძეგლის ფიზიკური მდომარეობის მონიტორინგის და ოპერატიული რეაგირების მექანიზმების განსაზღვრა, მართვის გეგმის გამოყენების ინსტრუქციის მომზადება, შესაბამისი პერსონალისათვის გაცნობა და სწავლება მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის გენერალურ გეგმაში (იუნესკო, 2003) მოცემული მართვის რეკომენდაციების ანალიზი, მართვის გეგმის დაზუსტებული შინაარსისა და მეთოდოლოგიის დეტალური განსაზღვრა, მცხეთის მუნიციპალიტეტის კონტექსტის შესწავლა, მათ შორის: სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა და მაჩვენებლები, ტურიზმის, გარემოსდაცვითი, ქალაქმშენებლობითი და მემკვიდრეობის პოლიტიკა და რეგულაციები, სხვადასხვა დოკუმენტების, კერძოდ ნომინაციის დოსიესა და იკომოსისა და იუნესკოს ანგარიშებისა და კომიტეტის გადაწყვეტილებების მიხედვით ძეგლისა და მისი</p> | <p>სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“</p> | <p>25442 ლარი</p> | <p>04.2012 - 10.2012</p> |
|----------|--|--|--|-------------------|--------------------------|

| | | | | | |
|---|--|--|--|-------------------|--------------------------|
| | | <p>ბუფერული (დამცავი) ზონის აღწერილობის შესწავლა, მიწის საკუთრების ფორმების იდენტიფიკაცია და ინფორმაციის გრაფიკული ინტეგრირება ამჟამად არსებულ და დაგეგმილ ქალაქმშენებლობის გეგმებთან და სხვა მარეგულირებელ და ზონირების დოკუმენტებთან, მცხეთის ისტორიული ძეგლების საარქივო რუკებისა და ფოტოების, ბიბლიოგრაფიული მასალების, ძეგლის სააღრიცხვო ბარათებისა და პასპორტების, საარქივო ანაზომებისა და დამცავი ზონების ფურცლების, არქეოლოგიური გათხრების დოკუმენტაციის მოძიება-სისტემატიზაცია, ძეგლის მართვასთან დაკავშირებული უწყებების იდენტიფიკაცია და მათი კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესწავლა, დაგეგმვის არსებული დოკუმენტების იდენტიფიკაცია, პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის არსებული მექანიზმების იდენტიფიკაცია, პროფესიული რესურსების და მატერიალურ ტექნიკური ბაზის, დაფინანსების მექანიზმების და ფინანსურ ურთიერთობათა მექანიზმების იდენტიფიკაცია-შეფასება, ძეგლისა და ბუფერული (დამცავი) ზონის საზღვრების (მათ შორის მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის სხვადასხვა პერიოდის საზღვრების) შედარებითი ანალიზი, საარქივო და ამჟამად მოქმედი ან სარეკომენდაციო დოკუმენტების გათვალისწინებით, ამჟამად მოქმედი დამცავი ზონებისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების ეფექტურობის შეფასება, ძეგლებისა და მათი გარემოს ავთენტურობის და მთლიანობის შეფასება, მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის გენერალურ გეგმაში (იუნესკო, 2003) მოცემული მართვის რეკომენდაციების ანალიზი და მათი განხორციელების შესაძლებლობების შეფასება</p> | | | |
| 6 | <p>ბაგრატის ტაძრისა და გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ბუფერული ზონების კარტოგრაფიული კვლევა-ანალიზი</p> <p>შპს გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“</p> | <p>ბაგრატის ტაძრისა და გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ბუფერული ზონების კარტოგრაფიული კვლევა-ანალიზის მიზანს წარმოადგენდა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების, გელათის მონასტრისა და ბაგრატის ტაძრის, ვიზუალური აღქმის არეალების დადგენა და მათთვის სარეკომენდაციო დამცავი ბუფერული ზონების განსაზღვრა იმის გათვალისწინებით, რომ ბუფერული ზონები აკმაყოფილებდნენ როგორც UNESCO-ს სტანდარტებს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ბუფერული ზონების მიმართ, ასევე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინდივიდუალური დაცვის ზონების მიმართ. დასმული ამოცანის გადასაწყვეტად გამოყენებულ იქნა თანამედროვე გეოსაინფორმაციო</p> | <p>სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“</p> | <p>23970 ლარი</p> | <p>11.2012 - 12.2012</p> |

| | | | | | |
|---|--|---|--|-------------|-------------------|
| | | სისტემები, ფოტოგრამეტრიისა და კომპიუტერული კარტოგრაფიის მეთოდები. შედეგების ანალიზის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები მეცნიერულად დასაბუთდა და განისაზღვრა ისეთი სიდიდის ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც დაცული იქნება მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების მთლიანობა და ავთენტურობა, მათი ვიზუალური და სივრცითი კავშირები ისტორიულ ლანდშაფტთან, მთავარ საკომუნიკაციო არხებთან და სხვა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებთან. პროექტის შედეგად შეიქმნა ნორმატიული და მეთოდოლოგიური საფუძველი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების შემდგომი სრულყოფილი განვითარებისათვის, ძეგლების მართვის გეგმის დასამუშავებლად და ზოგადად, ძეგლების მოვლა-პატრონობის, დაცვის და შენარჩუნების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად | | | |
| 7 | ქ. მცხეთის ურბანული მენეჯმენტის I ეტაპის სამუშაოები: მრავალპროფილიანი წინასაპროექტო კვლევა

შპს გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“ | ქ. მცხეთის ურბანული მენეჯმენტის მრავალპროფილიანი წინასაპროექტო კვლევა მოიცავდა ფიზიკური გარემოს კვლევას, მათ შორის ზოგად გეოლოგიური, სეისმური და კლიმატური მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს, არსებული ბუნებრივი ფასეულობების შესახებ მონაცემების დამუშავება-ანალიზს, არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების აღწერას, განაშენიანების ცალკეული ფუნქციური ზონების საზღვრების ანალიზს, არსებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ანალიზს, საპროექტო ტერიტორიის დაგეგმარებისათვის საჭირო, არსებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების, სამართლებრივის აქტების, სამართლებრივი რეჟიმების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მონაცემების, დაკავშირებული ანალიტიკური და სამეცნიერო მასალების შესწავლა-დამუშავებას, საპროექტო ტერიტორიის ძირითად მიზნების, ამოცანების და დაგეგმარების მიზანშეწონილობის განსაზღვრას | მცხეთის მუნიციპალიტეტი | 50000 ლარი | 03.2011 - 08.2011 |
| 8 | მესტიის მუნიციპალიტეტის ერთიანი სივრცითი განვითარების კონცეფციის, მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება

შპს გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“ | მესტიის მუნიციპალიტეტის ერთიანი სივრცითი განვითარების კონცეფციის, მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავების პროექტი მოიცავდა ისტორიული დასახლებების - ჟაბეშის, ადიშის, ეცერის და უშგულის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის დამუშავებას, რაც გულისხმობდა დასახლებების განვითარების პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების იდენტიფიცირებასა და განსაზღვრას. პროექტის ფარგლებში დამუშავდა ჟაბეშის, ადიშის, ეცერის და უშგულის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის ზოგადი და კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკები | აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია | 300500 ლარი | 06.2010 - 12.2010 |

| | | | | | |
|----|---|--|---|--------------------|------------------------|
| 9 | <p>დაბა ბაკურიანის მიმდებარე ტერიტორიის (დიდველი) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება</p> <p>შპს გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“</p> | <p>დაბა ბაკურიანის მიმდებარე ტერიტორიის (დიდველი) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების ფარგლებში შეიქმნა დიდველის ზონის საკურორტო არეალის განვითარების კონცეფცია, მოხდა საპროექტო არეალის არქიტექტურულ-გეგმარებითი სტრუქტურის ელემენტების ოპტიმიზაცია, საკურორტო ზონის განაშენიანების სივრცითი წყობის, სილუეტების, საზოგადოებრივი ცენტრის მოცულობითი გადაწყვეტა სამგანზომილებიან მოდელში, შემუშავდა დიდველის ზონის ტერიტორიის კეთილმოწყობის და გამწვანების პროექტი, მოხდა ტერიტორიის სოციალური ინფრასტრუქტურის სარეკომენდაციო განაწილება, შეიქმნა დიდველის სპორტულ-სარეკრეაციო ზონის ქუჩების, გზების და ავტოსადგომების ერთიანი ქსელის, სატრანსპორტო მოძრაობის სქემა, დამუშავდა დიდველის ზონის ტერიტორიის წყალსადენის და საყოფაცხოვრებო კანალიზაციის, გაზმომარაგების, ელექტრომომარაგების, სანიაღვრე კანალიზაციის, სატრანსპორტო ქსელის ვერტიკალური დაგეგმარების პროექტები და განაშენიანების რეგულირების გეგმა</p> | <p>საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო</p> | <p>125000 ლარი</p> | <p>05.2007-06.2007</p> |
| 10 | <p>ბორჯომის მუნიციპალიტეტის (რაიონის) სივრცითი მოწყობის გეგმა</p> <p>შპს გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“</p> | <p>საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული მრავალმიზნობრივი კვლევის საფუძველზე შეიქმნა ბორჯომის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია, პერსპექტიული განვითარების ხედვის დოკუმენტი, მოხდა ტერიტორიის გამოყენების მიმართულებების განსაზღვრა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და განვითარების, ტერიტორიის სოციალური და ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდის მიზნით სივრცითი განვითარების კონცეფციის ჩამოყალიბება საზოგადოებრივი, კერძო და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, მინათსარგებლობის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება, თემატური რუკების შექმნა გის-ის გარემოში</p> | <p>ბორჯომის მუნიციპალური გამგეობა</p> | <p>39500 ლარი</p> | <p>06.2007-12.2007</p> |
| 11 | <p>ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავება</p> <p>შპს გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“</p> | <p>ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს კვლევა, ისტორიულ-კულტურული ანალიზი, მათ შორის, ქუჩათა ქსელის ჩამოყალიბების ქრონოლოგიის კვლევა; ტერიტორიაზე განაშენიანების ქრონოლოგიური განვითარების დადგენა/ანალიზი; განაშენიანების ისტორიულად ჩამოყალიბებული ტიპოლოგიის, მათი ძირითადი მახასიათებლების დადგენა და ანალიზი; ტრადიციული სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის ანალიზი და სივრცითი იდენტიფიკაცია; ისტორიულად ჩამოყალიბებული ფუნქციებისა და მათი არქიტექტურულ სივრცით</p> | <p>საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო</p> | <p>242962 ლარი</p> | <p>08.2006-05.2007</p> |

| | | | | | |
|----|--|---|---|--------------------|--------------------------|
| | | <p>გარემოსთან ურთიერთდამოკიდებულების დადგენა, ანალიზი და გრაფიკული ვიზუალიზაცია, უძრავი ძეგლებისა და ფონური განაშენიანების ზოგადი ფიზიკური მდგომარეობის შეფასება და ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულებების დადგენა, სარეაბილიტაციო ობიექტების (ძეგლები, ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტები, ფონური განაშენიანება, საზოგადოებრივი სივრცე, ასევე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ელემენტები: ხის და ლითონის ნაკეთობები (აივნები, კარები, ჭიშკრები, კიბეები და ა.შ.), შემინვა, სახურავები, ქუჩის კეთილმოწყობის ელემენტები, ფერი, ფასადების მოპირკეთება, დეკორი) იდენტიფიკაცია და რეაბილიტაციის მეთოდოლოგიის განსაზღვრა (კონსერვაცია, რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, ადაპტაცია), კონსერვაციისა და განვითარების არელების დადგენა.</p> <p>კვლევის შედეგების საფუძველზე მოხდა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის ფარგლებში მოქცეული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ხედვის შემუშავება; 2. საერთაშორისო და ევროპული სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ინტეგრაცია და ჰარმონიზაცია კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მართვის ადგილობრივ სახელმძღვანელო პრინციპებთან; 3. ისტორიულ-კულტურული რესურსების მართვის საინფორმაციო უზრუნველყოფა და მართვის თანამედროვე სტანდარტების ინსტრუმენტის შექმნა | | | |
| 12 | <p>ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავება</p> <p>შპს გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“</p> | <p>ქ. ბათუმის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის საინფორმაციო ნაწილის უზრუნველყოფის მიზნით დაფარვითი ინვენტარიზაცია ქ. ბათუმის დამცავი ზონების ფარგლებში და ამ ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება, სისტემატიზაცია და ერთიანი მონაცემთა ბაზის ფორმირება, დაცვითი ზონების ფარგლებში არსებულ ყველა შენობა-ნაგებობაზე საველე და შესაბამისად სააღრიცხვო ბარათის, უცნობი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტების გამოვლენა-ინვენტარიზაცია, ისტორიული განაშენიანების მრავალკრიტერიუმული შეფასება, განაშენიანების მორფოლოგიისა და სტრუქტურის იდენტიფიკაცია, ტერიტორიაზე არსებული ურბანული და ბუნებრივი სივრცითი დომინანტების გამოვლენა, ისტორიული განაშენიანების პერსპექტივების და მათი აღქმის წერტილების დადგენა, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ლანდშაფ-</p> | <p>საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო</p> | <p>134992 ლარი</p> | <p>08.2006 - 04.2007</p> |

| | | | | | |
|----|---|--|---|-----------------------|--------------------------|
| | | <p>ტის საზღვრების დაფიქსირება, ისტორიული ქუჩათა ქსელის იერარქიის დადგენა, განაშენიანების ღირებული ფრაგმენტების და ცალკეული შენობა-ნაგებობების, ძეგლებისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტების, ღირებული არქიტექტურული და კონსტრუქციული დეტალების ფოტოფიქსაცია და გრაფიკული ვიზუალიზაცია, ასევე ურბანული და ბუნებრივი პანორამების ფოტოფიქსაცია, განაშენიანების იმ ფრაგმენტებისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების გამოვლენა და ფოტოფიქსაცია, რომლებიც არღვევენ ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სტრუქტურას, სივრცით ორგანიზაციას და ზღუდავენ უძრავი ძეგლებისა და ისტორიული გარემოს აღქმის პირობებს, საფრთხეს უქმნიან მათ შენარჩუნებას. კვლევის შედეგების საფუძველზე მოხდა: ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის ფარგლებში მოქცეული კულტურული მემკვიდრეობის არსებული მდგომარეობის შეფასება და ანალიზი; ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის ფარგლებში მოქცეული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ხედვის შემუშავება; საერთაშორისო და ევროპული სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ინტეგრაცია და ჰარმონიზაცია კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მართვის ადგილობრივ სახელმძღვანელო პრინციპებთან; ისტორიულ-კულტურული რესურსების მართვის საინფორმაციო უზრუნველყოფა და მართვის თანამედროვე სტანდარტების ინსტრუმენტის შექმნა</p> | | | |
| 13 | <p>დაფარვითი ინვენტარიზაცია ქ. თბილისის დაცვით ზონებში (სახელმწიფო დაცვის, განაშენიანების რეგულირებისა და ლანდშაფტის დაცვის ზონებში)</p> <p>შპს გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“</p> | <p>ქ. თბილისის დაცვითი ზონების ფარგლებში ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების არსებული მდგომარეობის შეფასება და ანალიზი; ქ. თბილისის დაცვითი ზონების ფარგლებში მოქცეული ტერიტორიების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფა; საბაზო და მარეგლამენტირებელი ტექსტური და გრაფიკული (მათ შორის კარტოგრაფიული) საფუძვლების შექმნა. შესრულებული სამუშაოები მოიცავდა: დაცვითი ზონების ფარგლებში არსებული ყველა შენობა-ნაგებობის და უძრავი ძეგლის ინვენტარიზაციას (მათ შორის შენობა-ნაგებობების არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულების და ფიზიკური მდგომარეობის შეფასებას) საალრიცხვო ბარათების შევსების გზით; დაცვითი ზონების საზღვრების იდენტიფიკაციას; ურბანული ქსოვილის მორფო-სტრუქტურულ ანალიზს; განვითარების კონცეპტუალური მიდგომების ამსახველი ანგარიშის</p> | <p>საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო</p> | <p>145502.40 ლარი</p> | <p>06.2005 - 10.2005</p> |

| | | | | | |
|-----------|--|--|--|-------------------|--------------------------|
| | | <p>მომზადებას; ერთიანი ელექტრონული ატრიბურული მონაცემთა ბაზის ფორმირებას; ერთიანი ელექტრონული მსხვილმასშტაბიანი ტოპო-გეოდეზიური საფუძვლის მომზადებასა და ერთიანი გეომონაცემთა ბაზის ფორმირებას; ფოტოფიქსაციის მასალების სისტემატიზაციას და გეომონაცემთა ბაზაში ინტეგრირებას; საბაზო ლიცენზირებული პროგრამული პროდუქტების მიწოდებას; საბაზო ლიცენზირებულ პროგრამულ პროდუქტებზე შექმნილი მონაცემთა ნაკადების მართვის სპეციალიზირებული ქართულენოვანი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას; საპროექტო ტერიტორიის მართვის საინფორმაციო სისტემის აწყობას; დამკვეთის შესაბამისი პერსონალის მომზადებას და სერტიფიცირებას; სისტემის ექსპლოატაციაში გაშვებას და მის ფუნქციონირებაზე ზედამხედველობას</p> | | | |
| <p>14</p> | <p>ქვეყნის დასახლებათა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავება (ქ. გორი, ქ. ფოთი, ქ. ბათუმი, ქ. ქობულეთი)</p> <p>შპს გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“</p> | <p>საპროექტო სამუშაოები მიზნად ისახავდა ქალაქების - გორის, ფოთის, ბათუმის და ქობულეთის სტრატეგიული ხედვის შემუშავებას, მინათსარგებლობის დაგეგმვის დოკუმენტაციის მომზადებას და ზონირების რუკების შექმნას. აღნიშნული მიზნების მისაღწევად განხორციელდა შემდეგი ტიპის სამუშაოები: არსებული მდგომარეობისა და მისი დინამიკური მახასიათებლების კვლევა და კომპლექსური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება დასახლებათა როლის შესაფასებლად ქვეყნის განსახლების სისტემაში, სავლე და კამერალურ პირობებში მოპოვებული ინფორმაციის სისტემატიზაციის, ინტეგრაციის და გეომონაცემთა ბაზის საფუძველზე სივრცით-კომპლექსური ანალიზი ქალაქების ძლიერი და სუსტი მხარეების შესაფასებლად და სხვა ქალაქებთან უპირატესობის გამოსავლენად, ქალაქების კომპლექსური განვითარების ხელსაყრელი წინაპირობების, მდგრადი განვითარებისა და პოტენციური საშიშროებების კონკრეტული რისკ-ფაქტორების ანალიზი, სივრცითი განვითარების პრიორიტეტების გამოვლენა და დიფერენცირება. აღნიშნული სამუშაოების საფუძველზე დასახლებების სივრცითი განვითარების ხედვის დოკუმენტის შედგენა, ადგილობრივი მოთხოვნებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, ქალაქის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის შემუშავება, ზოგადი ზონირების და დეტალური ზონირების რუკების შედგენა, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით</p> | <p>საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო</p> | <p>79700 ლარი</p> | <p>08.2004 - 12.2004</p> |

| | | | | | |
|----|---|---|--|-----------------------|--------------------------|
| 15 | <p>ქ.თბილისი, რუსთაველის გამზირის N11-ში, მდებარე ეროვნული მუზეუმის თანამედროვე ხელოვნების გალერეის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება</p> <p>შპს“სტუდია არსი“</p> | <p>ქ.თილისში, რუსთაველის გამზირის N11-ში მდებარე ეროვნული მუზეუმის თანამედროვე გალერეის შენობაზე ესკიზურ პროექტზე დაყრდნობით პროექტის კონცეფციის, არქიტექტურული ნაწილის და მუშა დოკუმენტაციის მომზადება, კონსტრუქციული, ვერტიკალური გეგმარების და მშენებლობის ორგანიზაციის პროექტების მომზადება</p> | <p>შპს“არსი-ტექ“</p> | <p>138179.25 ლარი</p> | <p>07.2009 -11.2009</p> |
| 16 | <p>ხიხანის ციხის (ხიხაძირის ციხე) საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება</p> <p>შპს“სტუდის არსი“</p> | <p>ხიხანის ციხის (ხიხაძირის ციხე) კვლევის, რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის განვითარების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით დანართ N1 -ის შესაბამისად</p> | <p>სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო</p> | <p>100000 ლარი</p> | <p>08.2012 - 12.2012</p> |
| 17 | <p>ქ.ბათუმში ჟორდანიას/ზ.გამსახურდიას ქ.N8/15 -ში გალერეის მინყობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება</p> <p>შპს“სტუდია არსი“</p> | <p>ქ.ბათუმში, ჟორდანიას/ზ.გამსახურდიას ქ.N8/15 -ში მდებარე შენობაში გალერეის მონყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება</p> | <p>სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო</p> | <p>11470 ლარი</p> | <p>08.2011 - 08.2011</p> |
| 18 | <p>ქ.ბათუმში, სამუზეუმო სივრცის მონყობა</p> <p>შპს“სტუდია არსი“</p> | <p>ქ.ბათუმში, სამუზეუმო სივრცეების მონყობისთვის - „იარაღის მუზეუმი“- (ქ.ბათუმი, ხელოს ქN10), „ბათუმის მუზეუმი“ — (მაზნიაშვილის ქN32), „ხელნაწერთა და წიგნის მუზეუმი“ — (რუსთაველის ქ/დემეტრე თავდადებულის ქ.17/7, რუსთაველის ქN15) შენობა ნაგებობებზე კვლევითი სამუშაოების განხორციელებაზე სანებართვო პროექტირებისა და კვლევითი სამუშაოების მომზადება</p> | <p>სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო</p> | <p>20000 ლარი</p> | <p>08.2011 - 09.2011</p> |
| 19 | <p>ქ.ბათუმი. მუზეუმი ღია ცის ქვეშ, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება</p> <p>შპს“სტუდია არსი“</p> | <p>ქ.ბათუმში, ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ, ეთნოგრაფიული მუზეუმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება</p> | <p>სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო</p> | <p>100000 ლარი</p> | <p>07.2012 - 12.2012</p> |

| | | | | | |
|----|---|--|--|--------------------|--------------------------|
| 20 | <p>მუცოს რეაბილიტაციის პროექტი</p> <p>შპს „სტუდია არსი“</p> | <p>მუცო (ხევსურეთის ისტორიული მხარის), რეაბილიტაციის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.</p> | <p>საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო</p> | <p>125000 ლარი</p> | <p>05.2008 - 12.2008</p> |
|----|---|--|--|--------------------|--------------------------|

გიორგი გოცირიძე,
დირექტორი
შპს „გეოგრაფიკი“
13.03.2015

